პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 101 (5131)

1974 წ. 23 მაისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# შვიდი გამარჯვება 8 წუთსა და 22 წამში

ახეთი დიდი წარმატება სპეციალისტთა საგანგებო ყურადღებას იპყრობს მუდამ და ცალკე მსჯელობის საგანიც ხდება: საქართველოს იუნიორმა „კლასიკოსებმა" მართლაც ივარგეს ვოროშილოვგრადის საკავშირო ჩემპიონატში. ოთხმა დინამოელმა, რომელთა შორის ორი თბილისიდან იყო, თითო — ქუთაისიდან და სოხუმიდან, I ადგილები დაისაკუთრა.

მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. სოხუმელი ა. მინასიანი (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. მაჩკალიანი) შვიდჯერ გამოვიდა სარბიელზე და ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. თანაც, ამ შვიდი ბრძოლის მოგებას მან სულ რაღაც 8 წუთი და 22 წამი მოანდომა. ჭიდაობაში რეკორდების რეგისტრაცია რომ ხდებოდეს, მინასიანის შედეგი უსათუოდ საუკეთესო იქნებოდა.

კარგად იჭიდავა ქუთაისელმა თ. აფხაზავამაც (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ი. ბობოხიძე). იგი ბევრად სჯობდა ყველა მეტოქეს და ამიტომაც ისე გავიდა I ადგილზე, რომ საჯარიმო ქულა არ მიუღია.

თაეი გამოირჩნენ, აგრეთვე, რ. აბრამიშვილმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. მაისურაძე) და ე. მაჩაიძემ (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. დათიაშვილი). იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვება ამ ორი ათლეტის მაღალი ოსტატობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

გამარჯვებულთა ოთხეულს მხარს უმშვენებს კიდევ ორი პრიზიორი — თბილისის დინამოელები ა. მაისურაძე და ი. ჯუღელი, რომლებმაც შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს. მაგრამ, თუ ჯუღელის საპრიზო ადგილი (62 კგ წონით კატეგორიაში) ახალგაზრდა ოსტატის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, ა. მაისურაძეს (მძიმე წონა) უკეთეს შედეგზეც შეეძლო ეფიქრა.

საქმე ისაა, რომ მაისურაძემ ფინალამდე ყველა შერკინება ვადამდე დაამთავრა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ერთგვარი პასიურობა გამოიჩინა, ინიციატივა ჩაბარა 18 წლის ოდესელ გოლიათს ვ. ოსადჩის და დამარცხდა.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ახალგაზრდა ცხაკაიელი მოჭიდავე შ. ხუხუა (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი კ. ჯოჯუა). მას, მართალია, საპრიზო ადგილი არ ერგო (52 კგ წონით კატეგორიაში), მაგრამ სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ხუხუას IV ადგილი ასეთ დიდ შეჯიბრებაში იმედს გვაძლევს, რომ რესპუბლიკის ნაკრები სულ მალე მისი სახით ღირსეულ ცვლას მიიღებს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. გნუსოვი (სასოფლო სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭო, მოსკოვის ოლქი), ვ. კარატაევი („სპარტაკი", ჩერნოვცი), რ. აბრამიშვილი („დინამო", თბილისი), ს. ნალბანდიანი („სპარტაკი", ასტრახანი), ე. მაჩაიძე („დინამო", თბილისი), თ. აფხაზავა („დინამო", ქუთაისი), ვ. ლიპაი („კრასნოე ზნამია", მინსკი), ა. მინასიანი („დინამო", სოხუმი), ვ. მიზგაიტისი („დინამო", კაუნასი), ვ. ოსადჩი („სპარტაკი", ოდესა).

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „დინამო" — 40 ქულა, „სპარტაკი" — 39, შეიარაღებული ძალები — 28.

ნ. ახვლედიანი.

# ორი სპეციალური პრიზი

მელიტოპოლში დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა რეგბიში.

თბილისის „სპარტაკი" ამ ბოლო ხანს ერთობ დაზარალდა: საქართველოს ორივე მოწინავე გუნდმა — „ლოკომოტივმა" და „განთიადმა" თავიანთი რიგები ამ სპორტსაზოგადოების ყოფილი მოთამაშეებით შეავსეს. „სპარტაკის" გუნდის ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თითქმის ახალი გუნდი შექმნა, რომელმაც უკრაინაში საზრიანად და ტემპერამენტიანად ითამაშა. სპარტაკელებმა სამი შეხვედრა მოიგეს: მოსკოვის „აეროფლოტთან" (12:0), მელიტოპოლის „სპარტაკთან" (25:4), ერევნელ თანაკლუბელებთან (10:0) და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ნალჩიკის კოლექტივთან (15:15). ორჯერ მათ დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი — კიევის „სპარტაკთან" (13:28) და მოსკოვის „ავტომობილისტთან" (9:15). საბოლოოდ, გუნდს IV ადგილი ხვდა ბურთების უარესი ბალანსის გამო.

საპრიზო ადგილებზე გავიდნენ კიევის „სპარტაკი", მოსკოვის „ავტომობილისტი" და ნალჩიკის „სპარტაკი".

ქართველ რეგბისტებს გადაეცათ ორი სპეციალური პრიზი — „მამაცური თამაშისთვის" და „ყველაზე ახალგაზრდული გუნდისთვის".

დ. თაქთაქიშვილი.

# უშეცდომოდ გავლილი ტრასები

პერვომაისკში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება სანიჩბოსნო სლალომში. შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა სპორტის ოსტატმა, მიუნხენის ოლიმპიადის მონაწილემ გ. ნასყიდაშვილმა („ლოკომოტივი"). 117 ნიჩბოსანს შორის იგი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ტრასა ორივე ცდაზე უშეცდომოდ გაიარა. ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში ნასყიდაშვილს საბოლოოდ 224 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და I ადგილი ხვდა.

II ადგილზე გავიდა ხ. კემერსი (რიგა, „შრომითი რეზერვები") — 230, III—მისი თანაქალაქელი ა. სტავრო („დაუგავა") — 243.

ერთადგილიანი კანოეთი კარგად ისპარეზა მცხეთელმა სპორტის ოსტატმა ტ. გაბრიელიანმა („შრომითი რეზერვები"), რომელმაც კიეველ ვ. ოსადჩისთან („ტრუდი" — 301) მხოლოდ 4 ქულა წააგო და II ადგილი დაისაკუთრა.

საქართველოს ნიჩბოსნებმა კიდევ ერთი საპრიზო ადგილი მოიპოვეს: ორადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში თბილისელი ძმების ბ. და ე. კაშურნიკოვების („ლოკომოტივი") დუეტმა მესამე შედეგი აჩვენა — 417 ქულა. თბილისელებს აჯობეს ლენინგრადის „სპარტაკის" (ვ. ტაბაჩნიკოვი, ი. სმირნოვი — 362) და კიევის „ტრუდის" (ი. კოვალიოვი, ვ. რუდენკო — 366) წარმომადგენლებმა.

ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა ზ. ჰერცბერგას (რიგა, „შრომითი რეზერვები"). მან თანაგუნდელ ნ. კონოვალოვას (358 ქულა) 78 ქულით აჯობა.

# კარგად მოემზადნენ

გორის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ძიუდოისტთა პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის, ცხინვალისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების ნაკრები გუნდები. დანარჩენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, სამწუხაროდ, თავი მოარიდეს ტურნირს.

სტუდენტ ძიუდოისტთა შეხვედრებმა მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია. მოასპარეზე კოლექტივები კარგად იყვნენ მომზადებული შეჯიბრებისთვის.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ჩოჩიშვილი, ი. ფუხაშვილი (ორივე — გორის პედაგოგიური ინსტიტუტი), მ. ბროძელი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ნ. კულუმბეგაშვილი, გ. თანდელოვი (ორივე — გორის პედაგოგიური ინსტიტუტი).

გუნდური გამარჯვება გორის პედინსტიტუტის ძიუდოისტებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები, III — ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი.

ა. ქიბროწაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ორი სხვადასხვა შეჯიბრების მომენტებს. ვინიცაში ჩატარდა უკრაინის სსრ პირად-გუნდური პირველობა მოტოსპორტში. კროსში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ოლქების საუკეთესო მრბოლელები. გაიმარჯვეს ლვოვის ოლქის სპორტსმენებმა. ვ. კოპიტის მიერ გადაღებულ სურათზე აღბეჭდილია მოტოკროსის მომენტი.

ნოვოსიბირსკში საზაფხულო სპორტული სეზონი გაიხსნა მრავალდღიანი ველორბოლით, რომელიც ოლქის გზებზე ტარდება. ვ. ლეშჩინსკის მიერ გადაღებულ სურათზე თქვენ ხედავთ ველორბოლის სტარტს ლენინის მოედანზე.

(საკდესის ფოტოქრონიკა).





# სპორტის საკითხებს მიეძღვნა

## სპორტულ ჟურნალისტთა საკავშირო თათბირ-სემინარი

მოსკოვში სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა და სპორტულ ჟურნალისტთა საკავშირო ფედერაციამ მოაწყვეს საკავშირო თათბირ-სემინარი თემაზე „სპორტული პრესა მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისთვის ბრძოლაში".

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტულმა ჟურნალისტებმა. მათ მოისმინეს ბევრი საინტერესო მოხსენება. მაგალითად, სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მთავარმა რედაქტორმა ნ. კისელიოვმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ შუქდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხები პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ფიზკულტურულ თემაზე ხშირად იბეჭდება უინტერესო და მშრალი მასალები, მეტწილად ინფორმაციული ხასიათისა. მკითხველი ასეთ მასალებში ვერ პოულობს მოვლენათა ღრმა და საფუძვლიან ანალიზს. მომხსენებელმა ჟურნალისტებს სქემატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა. მან დამაჯერებელი კონკრეტული მაგალითებით უჩვენა, თუ დაახლოებით როგორი უნდა იყოს მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების ამსახველი მასალები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კოვალმა ილაპარაკა საბჭოთა სპორტსმენთა საერთაშორისო კავშირების შესახებ. მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო მოსკოვის ოლიმპიურ პერსპექტივებს და ხაზგასმით აღნიშნა ის სიძნელეები, რაც ჯერ კიდევ ხვდება მოსკოვს, როგორც 1980 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგემ ბ. გონჩაროვმა თავის გამოსვლაში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საბჭოთა სპორტულ ცხოვრებაში არსებულ ხარვეზებს, გამოამჟღავნა ის მახინჯი მხარეები, რომლებიც შეუთავსებელია საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის იდეალებთან.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს სხვა მოხსენებებიც. ზოგი ეძღვნებოდა სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა განვითარების პრობლემებს, ზოგი — ახალგაზრდულ გაზეთებში მშდ ახალი კომპლექსის გაშუქების საკითხებს. საინტერესო იყო მოხსენება: „სპორტული ჟურნალისტი და მისი როლი სპორტში" (მომხსენებელი — გაზეთ „პრავდის" რედაქტორის მოადგილე ინფორმაციის დარგში ლ. ლებედევი).

ამ საკითხების ირგვლივ ისაუბრეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტის განყოფილების გამგემ ა. ივანიცკიმ, სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა ფედერაციის ბიუროს პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. ჩისტიმ, ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის" მთავარი რედაქტორის მოადგილემ ლ. გორიანოვმა და სხვ.

სემინარის მონაწილეებმა ნახეს 1974 წლის საფრანგეთისა და იტალიის კინოფესტივალებზე დაჯილდოებული სპორტული კინოფილმები, დაათვალიერეს მოსკოვის სპორტული ბაზები და ნოვოგორსკის ოლიმპიური კომპლექსი.

(„ლელოს" სპეც. კორ.)

მოსკოვი.



# დანაშაული და სასჯელი
# ორი წლის მანძილზე — არც ერთი ნიშნოსანი
## კოლეგიის სამართლიანი განაჩენი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მშდ ახალი კომპლექსის შემოღებისთანავე სათანადო ღონისძიება დასახა, რათა რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ამ საყოველთაო-სახალხო საქმეს თავიდანვე გულისხმიერად მოჰკიდებოდნენ.

განვლილი ორი წლის მანძილზე ერთგვარი მუშაობა მართლაც ჩატარდა — სასწავლებლებში გაიმართა აქტივის კრებები, საბჭოების სხდომები, პრორექტორებისა და დირექტორის მოადგილეთა თავმჯდომარეობით შეიქმნა მშდ კომპლექსის მუდმივმოქმედი კომისიები, ჩამოყალიბდა სასწავლო ჯგუფები, ნორმატივების მიმღები კომისიები. სპეციალურად მომზადდა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრები, რომლებიც შემდეგ აქტიურად ჩაებნენ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად შეჯიბრებების მოწყობაში.

ამის შედეგად უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში იმატა მასობრივ-სპორტულ ღონისძიებათა რიცხვმა, გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება კომპლექსის უკეთ დანერგვისთვის.

ჩატარებული ორგანიზაციული ღონისძიებების შედეგად ნორმატივების ჩამბარებელთა მოსამზადებელ ჯგუფებში ჩაბმული იყო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო რაოდენობის 50 (უმეტესად I და II კურსებიდან) და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა 70 პროცენტი.

მაგრამ საბოლოო შედეგები სახარბიელო როდი გამოდგა. ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული თერთმეტი უმაღლესი სასწავლებლის 29 ათასზე მეტი სტუდენტიდან პირველ წელს მშდ კომპლექსის ყველა ნორმატივი ჩააბარა მხოლოდ 988 კაცმა (მათ შორის — 116-მა ოქროს სამკერდე ნიშანზე), შარშან კი — 2185-მა („ოქრო" 88-მ დაიმსახურა).

ტექნიკუმებში მაჩვენებლები შედარებით მაღალია: 21 ტექნიკუმის 15 ათასი მოსწავლიდან ნორმატივები 1972 წელს 1624-მა ჩააბარა, შარშან — 2369-მ.

**უმაღლეს სასწავლებლებში ჩამორჩენის მიზეზი ისაა, რომ ბევრგან მშდ კომპლექსს ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ. კრებებზე, საბჭოს სხდომებზე არ მსჯელობენ ნორმატივების ჩაბარების საკითხებზე, არ სახავენ საჭირო ღონისძიებებს, არ ჰყოფნით ბაზები.**

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 12 ათასზე მეტი სტუდენტია. კომპლექსის შემოღების პირველ წელიწადს 10 თვის მანძილზე ნორმატივები მხოლოდ 200 კაცმა ჩააბარა (მათგან 40-მა ოქროს სამკერდე ნიშანი დაიმსახურა). მართალია, შარშან მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა (მომზადდა 516 ნიშნოსანი, თუმცა აქედან მხოლოდ ორმა მიიღო ოქროს სამკერდე ნიშანი), მაგრამ ინსტიტუტს ბევრად უფრო დიდი შესაძლებლობები აქვს.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო საქმისადმი ინსტიტუტის ხელმძღვანელების გულგრილი დამოკიდებულება. ამ სასწავლებელს ხუთის მაგიერ მხოლოდ ერთი სპორტული დარბაზი აქვს. ბოლო 20 წლის მანძილზე ინსტიტუტში არაფერი გაკეთებულა სასწავლო-სპორტული ბაზების ასაშენებლად. პირიქით, არსებული ფეხბურთის მინდორი მოუვლელობისგან მწყობრიდან გამოვიდა, საცურაო აუზის მშენებლობა კი ათი წელია ჭიანურდება.

მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების მხრივ პროცენტულად ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა უნივერსიტეტში. აქ 1972 წელს 8500 სტუდენტიდან 272 ნიშნოსანი მოამზადეს (26 კაცმა ოქროს სამკერდე ნიშნები მიიღო), შარშან — 468.

რესპუბლიკის ამ ორ უმაღლეს სასწავლებელში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, რომ სრულდებოდეს ხელმძღვანელი ორგანოების მითითება III-IV კურსებზე ფიზკულტურის სწავლების შესახებ.

**პირდაპირ სავალალო მდგომარეობაა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც 1972 წელს ერთი ნიშნოსნის მომზადებაც ვერ შეძლეს.**

შარშან და შარშანწინ ასევე ცუდად იმუშავეს ჩხოროწყუს მექანიკური, ქარელის ელექტრომექანიკური, რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული, თბილისის პედაგოგიური, ინდუსტრიული და სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმების ფიზაღზრდის ხელმძღვანელებმა ა. კვარაცხელიამ, რ. არუთინიანმა, ნ. კახაძემ, გ. ქარქოსაშვილმა, თ. თიბილაშვილმა და ზ. ოშაყმაშვილმა.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების უმეტესობას ფიზაღზრდაში მეცადინეობისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის ელემენტარული პირობებიც კი არ გააჩნია. ასეა თბილისის, ცხინვალის, ქუთაისისა და ბათუმის პედინსტიტუტებში, ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის, თბილისის სამრეწველო-ეკონომიურ და მანქანათმშენებლობის, სოხუმის ინდუსტრიულ, მახარაძის კვების მრეწველობისა და სხვა ტექნიკუმებში.

ამას წინათ ამ საკითხებზე იმსჯელა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიამ, რომელმაც მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სათანადო დადგენილება მიიღო.

დადგენილება რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელებს ავალებს სტუდენტთა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებისა და მშდ კომპლექსის უფრო ფართოდ დანერგვისთვის გადამჭრელი ღონისძიებები გაატარონ. მუდმივი კონტროლი დააწესონ ფიზაღზრდისა და [illegible] ფიზაღზრდის ხელმძღვანელების მუშაობაზე, სასწავლო [illegible] ორგანიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე. არ დაუშვან მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ფორმალობისა და მიწერის შემთხვევები. სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები გამოიყენონ მშდ კომპლექსის ნორმატივების მომზადება-ჩაბარებისა და ცურვის სწავლებისთვის.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს ა. ძიძიგურს დაევალა მიიღოს ზომები საცურაო აუზის მშენებლობის წლეულს დასამთავრებლად.

ქარელის ელექტრომექანიკური და საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმების ფიზაღზრდის ხელმძღვანელებს რ. არუთინიანსა და გ. გრატიაშვილს მშდ კომპლექსის დანერგვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისთვის (ბოლო ორი წლის მანძილზე არც ერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ) კოლეგიამ საყვედური გამოუცხადა.

თბილისის კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის, სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრების გამგეებს ი. ავალიშვილს, ჟ. ჯაფარიძესა და ვ. აბულაძეს, კასპის ინდუსტრიული და თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმების ფიზაღზრდის ხელმძღვანელებს ს. ბასიაშვილსა და გ. ქარქოსაშვილს, რომლებმაც მუშაობა სათანადოდ ვერ გაშალეს, მიეთითათ.

---



# რა, სად, როდის?

### მოსწავლეთა XXVI რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეჯიბრებების კალენდარი

**თბილისი**

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). 23-31 მაისი. დასაწყისი 10 ს.

სპორტული ტანვარჯიში. განათლების განყოფილების სატანვარჯიშო სკოლის დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). 2-5 ივნისი. 11 ს.

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის" სტადიონი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 74). 25-27 მაისი. 11 ს.

თავისუფალი ჭიდაობა. ფალავანთა კლუბი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ა). 1-3 ივნისი. 11 ს.

კლასიკური ჭიდაობა. ფალავანთა კლუბი. 6-8 ივნისი. 11 ს.

კალათბურთი. ლენინის სახელობის (კონსტიტუციის ქ. № 6) და სპორტკლუბ „სინათლის" (ტელმანის ქ. № 8) დარბაზები. 26-31 მაისი. 10 ს.

წყალბურთი. „ლოკომოტივის" საცურაო აუზი (300 არაგველის ქ. № 1). 26-30 მაისი. 18 ს.

წყალში ხტომა. რესპუბლიკური სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). 26-28 მაისი. 11 ს.

ჩოგბურთი. „დინამოს" ჩოგბურთის მოედნები (სანაპირო № 2). 8-15 ივნისი. 10 ს.

ფარიკაობა. რესპუბლიკური სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ფარიკაობის დარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ა). 31 მაისი-6 ივნისი. 10 ს.

ველოსპორტი. საქართველოს სამხედრო გზის 30-ე კმ. 10, 12, 14 ივნისი. 14 ს.

ბატუტზე ხტომა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). 10-11 ივნისი. 11 ს.

კრივი. ლენინის სახელობის დარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 13 ივნისი. 12 და 17 ს.

**რუსთავი**

ფრენბურთი. სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზი. 26-31 მაისი. 10 ს.

აკრობატიკა. სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზი. 2-3 ივნისი. 11 ს.

მხატვრული ტანვარჯიში. სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზი. 8 ივნისი. 11 ს.

**სოხუმი**

ტყვიის სროლა. „დინამოს" სასროლეთი. 28 მაისი-2 ივნისი. 11 ს.

ხელბურთი. „სპარტაკის" მოედანი. 7-12 ივნისი. 10 ს.

**ქუთაისი**

ცურვა. „განთიადის" საცურაო აუზი (პიონერთა პარკი). 26-28 მაისი. 11 ს.

**ტყიბული**

ფეხბურთი. ქალაქის სტადიონი. 23-27 მაისი. 11 ს.

**კასპი**

ქართული ჭიდაობა. საჭიდაო დარბაზი. 14-16 ივნისი. 11 ს.

**ფოთი**

ნიჩბოსნობა. საწყლოსნო სადგური. 14-16 ივნისი. 11 ს.

**ხაშური**

მაგიდის ჩოგბურთი. განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზი. 14-18 ივნისი. 10 ს.

---

# დასკვნითი აკორდი

**საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. XIX ტური.** ც. კობაიძე — მ. მამისთვალოვა 0,5:0,5, ქ. გეგიძე — ლ. ბელოზიოროვა 1:0, ე. ბაშინჯაიძე — ნ. იოსელიანი 1:0, ა. ჩაიკოვსკაია — მ. ვაჩეიშვილი 0,5:0,5, ლ. თანდაშვილი — ნ. გურიელი 0,5:0,5, თ. ხუგაშვილი — ც. კახაბრიშვილი 1:0, ნ. მანველოვა — მ. წერეთელი 0:1, ვ. კუპრაშვილი (ყვილა — თბილისი) — ნ. ხუბულური (ონი) 0,5:0,5, ე. აპრესოვა (გორი) — ქ. გაჩეჩილაძე (თბილისი) 0,5:0,5.

დასკვნით ტურში მხოლოდ მან იბრძოლა თავგამოდებით, ვისაც საპრიზო ადგილზე ეჭირა თვალი. დიდი ბრძოლა გაჩაღდა ხუგაშვილ — კახაბრიშვილის შეხვედრაში. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო ხუგაშვილის უპირატესობით. გუშინ დილით ოსტატმა მოიგო იგი.

წერეთელიც შეუპოვრად იბრძოდა. ამრიგად, პირველობა დამთავრდა. გთავაზობთ მის შედეგებს:

I. კობაიძე — 15 ქულა, II-III. ხუგაშვილი, ჩაიკოვსკაია — 13,5-13,5, IV-V. წერეთელი, ბაშინჯაიძე — 13-13, VI. კახაბრიშვილი — 12,5, VII. გურიელი — 11,5, VIII. იოსელიანი — 10,5, IX-X. გაჩეჩილაძე, გეგიძე — 10-10, XI. მამისთვალოვა — 8, XII. ხუბულური — 7,5, XIII. თანდაშვილი — 7, XIV. კუპრაშვილი — 6, XV. ბელოზიოროვა — 5,5, XVI. ვაჩეიშვილი — 5, XVII-XVIII. მანველოვა, ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) — 4-4, XIX. აპრესოვა — 1,5.

გუშინ დილით მონაწილეებმა ელვისებურ ტურნირში ითამაშეს. I ადგილზე გავიდა ხუბულური — 12 ქულა 15-დან, II — ხუგაშვილი — 11,5, III — წერეთელი — 8,5.

საღამოს პირველობა საზეიმოდ დაიხურა. იქ გამოცხადდა, რომ კობაიძე, ხუგაშვილი და ჩაიკოვსკაია მონაწილეობას მიიღებენ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალებში (კიშინიოვი, ფრუნზე, ივნისი).

**ჭადრაკი**

დიდი ხანია საქართველოს პირველობაში ამდენ ძლიერ მოჭადრაკეს არ უთამაშია. მებრძოლთა რიგებს აკლდნენ მხოლოდ მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ნ. ალექსანდრია და სსრ კავშირის თასის გათამაშების ვერცხლის მედალოსანი მ. ჩიბურდანიძე. ეს „შესანიშნავი სამეული" სხვა შეჯიბრებებით იყო დაკავებული. კარგი იქნება, რესპუბლიკის პირველობა ერთხელ მაინც ჩატარდეს მათი მონაწილეობით. ნონას, მაგალითად, ჩვენს პირველობაში 1961 წლიდან არ უთამაშია.

შედეგების ცხრილში მონაწილენი სიძლიერის მიხედვით განლაგდნენ. ოსტატების უპირატესობა აშკარაა. ისინი შესამჩნევად წინ წასულან შემოქმედებითი თვალსაზრისით.

საქართველოს ჩემპიონმა კობაიძემ თეორიის ცოდნა და რაციონალური ბრძოლის უნარი გამოავლინა. იგი გართულებებს არ გაურბოდა, პირიქით, ბრძოლაში ახლა უფრო მეტად აქტიურობდა, ვიდრე წინა წლებში. იგრძნობა, რომ კობაიძე სისტემატურად მუშაობს ჭადრაკის სიბრძნის ღრმად დაუფლებისთვის.

ქების ღირსია ხუგაშვილი გამარჯვებისკენ ლტოლვისთვის. მისი გეგმები რეალურ საფუძველს ემყარება, ოღონდ ზოგჯერ მოჭადრაკე პოზიციისგან მეტს მოითხოვს, ვიდრე ამის უფლებას ობიექტური შეფასება იძლევა. ჩვენი აზრით, ხუგაშვილმა მთლიანად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობა.

ჩაიკოვსკაიამ დიდი ხნის შესვენების შემდეგ ითამაშა პირველობაში. ამიტომ შედეგი სავსებით დამაკმაყოფილებელია. პრაქტიკა კახაბრიშვილსაც აკლდა, რის გამოც ფინიშზე, გადამწყვეტ შეხვედრებში, ძალა არ ეყო.

ოსტატების შემდეგ უნდა აღვნიშნოთ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებმაც შეუპოვარი მეტოქეობა გაუწიეს გამოცდილ კოლეგებს. საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინეს წერეთელმა, ბაშინჯაიძემ, გურიელმა, იოსელიანმა, გაჩეჩილაძემ და გეგიძემ. მეტი იყო მოსალოდნელი მამისთვალოვასგან.

უნდა დავასახელოთ 12 წლის ნანა იოსელიანი და 13 წლის ნინო გურიელი. გოგონები დიდი გატაცებით, საინტერესოდ თამაშობდნენ. იოსელიანმა შესანიშნავი სტარტით ყველა აალაპარაკა. ფინიშზე მან სძლია ოსტატებს ჩაიკოვსკაიასა და ხუგაშვილს, გურიელმა კი მტკიცე, დინჯი თამაშით სამივე ოსტატთან ყაიმით დაამთავრა შეხვედრები

პირველობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენში კარგი მოჭადრაკე ქალები იზრდებიან. საჭიროა მეტი ზრუნვა გამოვიჩინოთ მათ მიმართ.

თ. გიორგაძე.

---

# რამდენიმე სტრიქონით

### ზესტაფონი

ზესტაფონის, ჭიათურისა და მაიაკოვსკის განათლების მუშაკთა პროფკავშირის გუნდების ტრადიციულმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ჭადრაკში ზესტაფონისა და ჭიათურის მასწავლებლების მატჩი ყაიმით (2:2) დამთავრდა. ჭიათურელებმა მაგიდის ჩოგბურთში სძლიეს მასპინძლებს, მაგრამ ფრენბურთში დამარცხდნენ — 1:2. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ზესტაფონისა და მაიაკოვსკის გუნდები. მაიაკოვსკელებმა მოიგეს (5:2) შეხვედრა ჭადრაკში და წააგეს (0:3) მატჩი მაგიდის ჩოგბურთში.

ა. განუგრავა.

### სოხუმი

ჩატარდა აფხაზეთის პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში. ორდღიან ასპარეზობაში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის მეხანძრეებმა. II ადგილი დაიკავეს გაგრელმა სპორტსმენებმა, III — სოხუმის ნაკრებმა. პირად პირველობაში დაბრკოლებებით 100-მეტრიან ზოლზე რბენა მოიგო დ. ცხვიტარიამ (გალი). საიერიშო სამმუხლიანი გასაშლელი კიბით III და IV სართულების ფანჯრებში ასვლაში ყველას აჯობეს ს. კალაიჯიანმა და რ. კაპიკიანმა (ორივე — გაგრა).

ვ. ქობალია.

### ლაგოდეხი

ამ დღეს გაგრძელდა „კოლმეურნის" სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება „ოქროს თავთავის" თასზე ფეხბურთში. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ყარსუბნისა და ვარდისუბნის კოლმეურნეობათა გუნდებმა. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს ყარსუბნელებმა, რომლებიც მონაწილეობას განაგრძობენ „ოქროს თავთავის" რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

რ. ნოზაძე,
„კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

### ზუგდიდი

ენგურქაღალდკომბინატის სტადიონზე გაიმართა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება წყალტუბოს და ზუგდიდის სპორტსკოლების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ბ. ალშიბაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დახმარება წყალტუბოდან და ტყიბულიდან

ამ მუდამ მოღიმარმა გოგონამ კარგა ხანია ცურვის სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ყველაზე დიდი წარმატებით იგი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშებაში — „მხიარული დელფინის“ რესპუბლიკურ პირველობებში გამოდის. შეჯიბრებებში თბილისის 128-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე სვეტლანა სოვდაგრიშვილი „ერთი ხელის მოსმით“, სულ ცოტა, სამჯერ ადის ხოლმე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

და აი, სვეტლანამ თბილისის მოსწავლეთა XXX სპარტაკიადაშიც იყოჩაღა: რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზში გამართულ შეჯიბრებაში ყველას აჯობა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიდის მოწაფე, 12 წლის გოგონა ყველაზე უმცროსი აღმოჩნდა გამარჯვებულთა შორის. ამასთან, მისი შედეგი (3.05,2) პირველი თანრიგის ნორმატივს სჯობს. იოაკიმიდი დიდ იმედებს ამყარებს სვეტლანაზე...

თავისუფალი სტილით მოცურავე გ. მთვრალაშვილმა (ორჯონიკიძის რაიონი) თავის გუნდს ყველაზე მეტი ქულა მოუტანა. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ყველას აჯობა 100, 200 და 400 მეტრზე ცურვაში. მართალია, გიამ ყველაზე შთამბეჭდავად 400-მეტრიან მანძილზე გაიმარჯვა, მაგრამ, ჩვენი აზრით, შემდგომში იგი 200 მეტრზე უფრო დიდ წარმატებებს მიიპოვებს.

100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა შ. გოზალიანი (ორჯონიკიძის რაიონი). სპორტის ოსტატის კანდიდატის შედეგები მხოლოდ ამ გოგონამ აჩვენა.

ძალიან დაბალი იყო ჭაბუკთა შედეგები 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, აგრეთვე, გოგონათა მაჩვენებლები 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში. ამ სახეობებში გამარჯვებულებმაც კი პირველი თანრიგის ნორმატივები ვერ შეასრულეს და ვერც თავიანთს გუნდს არგეს რაიმე.

საერთოდ, თბილისში მოასპარეზეთა შედეგები გაცილებით მაღალი იქნებოდა, ყველა უძლიერესი რომ გამოსულიყო სარბიელზე. 15 თბილისელი ბრასისტი და თავისუფალი სტილით მოცურავე საკავშირო ნაკრების კანდიდატია. ისინი წყალტუბოსა და ტყიბულში არიან შეკრებაზე, მაგრამ თავიანთს გუნდებს... იქიდან გაუწიეს დახმარება: იქაურ ცისფერ ბილიკებზე მათ მიერ ნაჩვენები შედეგები აქ გამოიყენა.

ა. გურასაშვილი.

• • •

### ტექნიკური შედეგები

**გოგონები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ნ. გელაძე (ორჯონიკიძის რაიონი) — 1.07,9, ი. ნოვოსიოლოვა (ლენინის რაიონი) — 1.08,6, შ. გოზალიანი (ოქტომბრის რაიონი) — 1.09,1; **200 მ.** გელაძე — 2.29,4, ნოვოსიოლოვა — 2.30,0, ნ. ბახტაძე (26 კომისრის რაიონი) — 2.37,7; **400 მ.** ნოვოსიოლოვა — 5.22,8, ბახტაძე — 5.22,8, ლ. ლაშქარაშვილი (ლენინის რაიონი) — 5.27,2; **800 მ.** ბახტაძე — 11.39,2, ტ. გამჯიაშვილი (პირველი მაისის რაიონი) — 11,46,3, ე. აზიმოვა (ორჯონიკიძის რაიონი) — 11.50,9. **ბრასი. 100 მ.** მ. კირდიანოვა (ორჯონიკიძის რაიონი) — 1.27,3, თ. ლაშქარაშვილი — 1.27,8, მ. გამზინა (ორივე — ლენინის რაიონი) — 1.28,9; **200 მ.** ს. სოვდაგრიშვილი (ორჯონიკიძის რაიონი) — 3.05,2, თ. ლაშქარაშვილი — 3.09,7, ა. პურსანოვა (პირველი მაისის რაიონი) — 1.10,1. **გულაღმა. 100 მ.** გოზალიანი — 1.14,5, ლ. ნატროშვილი (პირველი მაისის რაიონი) — 1.17,5, ვ. პროსკურინა (ოქტომბრის რაიონი) — 1.20,5; **200 მ.** გოზალიანი — 2.39,7, ე. შაგიდულოვა (კალინინის რაიონი) — 2.44,8, მ. ნათლიაშვილი (პირველი მაისის რაიონი) — 2.51,0. **ბატერფლაი. 100 მ.** პროსკურინა — 1.15,7, ნატროშვილი — 1.17,9, ლ. იმნაძე (26 კომისრის რაიონი) — 1.17,9; **200 მ.** პროსკურინა — 2.46,4, იმნაძე — 2.49,7, ნატროშვილი — 2.57,8. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** იმნაძე — 2.45,9, შაგიდულოვა — 2.46,0, გამჯიაშვილი — 2.50,0; **400 მ.** იმნაძე — 5.56,9, პროსკურინა — 6.07,8, სოვდაგრიშვილი — 6.08,2.

**ჭაბუკები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** გ. მთვრალაშვილი (ოქტომბრის რაიონი) — 1.00,2, ვ. კოველსკი — 1.00,3, ა. მელნიკოვი (ორივე — პირველი მაისის რაიონი) — 1.01,5; **200 მ.** მთვრალაშვილი — 2.10,3, კოველსკი — 2.13,3, ა. სოკოლოვი (პირველი მაისის რაიონი) — 2.14,6; **400 მ.** მთვრალაშვილი — 4.34,9, ვ. საი (26 კომისრის რაიონი) — 4.43,7, კოველსკი — 4.46,3; **1500 მ.** საი — 18,27,6, სოკოლოვი — 18.52,2, გ. ზაზიაშვილი (ლენინის რაიონი) — 19.18,3. **ბრასი. 100 მ.** ს. სამსონოვი (ლენინის რაიონი) — 1.16,2, ტ. ვართაპეტიანი (პირველი მაისის რაიონი) — 1.17,2, ა. სისოევი (ორჯონიკიძის რაიონი) — 1.18,3; **200 მ.** ვართაპეტიანი — 2.45,7, სამსონოვი — 2.47,7, ა. სიროვი (ორჯონიკიძის რაიონი) — 2.49,8. **გულაღმა. 100 მ.** საი — 1.08,7, ა. თევზაძე (ორჯონიკიძის რაიონი) — 1.09,2, მელნიკოვი — 1.10,0; **200 მ.** თევზაძე — 2.27,6, საი — 2.27,6, კ. იაგლოვი (პირველი მაისის რაიონი) — 2.30,2. **ბატერფლაი. 100 მ.** კოველსკი — 1.08,8, ა. კოვერიაგინი (საქარხნო რაიონი) — 1.09,6, ა. ბაბაევი (26 კომისრის რაიონი) — 1.10,9; **200 მ.** კოვერიაგინი — 2.40,0, მ. ხუციშვილი — 2.45,9, ა. ჯიბლაძე (ორივე — პირველი მაისის რაიონი) — 2.48,4. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** ვართაპეტიანი — 2.33,7, მელნიკოვი — 2.36,0, ი. ჩხიკვაძე (კალინინის რაიონი) — 2.37,0; **400 მ.** ჩხიკვაძე — 5.32,9, ი. ოვსიანიკოვი (ლენინის რაიონი) — 5.43,2, ა. ჯიბლაძე (პირველი მაისის რაიონი) — 5.53,7.

**გუნდური ჩათვლა.** ოქტომბრის რაიონი — 422 ქულა, ორჯონიკიძის რაიონი — 398, პირველი მაისის რაიონი — 290.

• • •



სურათზე: ს. სოვდაგრიშვილი ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.

# მიღწეულს არ დასჯერდება

ირაკლი ჯაფარიძე თბილისის ფიგურული ციგურაობის სკოლის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო. მერე მან მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და აქაც დიდი ნიჭი გამოიჩინა. მისმა მოწაფეებმა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ბევრჯერ ისახელეს თავი, მერე საკავშირო სარბიელზეც გავიდნენ და მაყურებელი ყველგან მოხიბლეს მოხდენილი სრიალით, რთული ნომრებით.

სპეციალისტების აზრით, ნიჭიერი თბილისელი ფიგურისტები მალე საუკეთესო სპორტის ოსტატებად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ასეც მოხდა. განსაკუთრებით მ. ცერცვაძე და ლ. გაბელაია დაწინაურდნენ.

ი. ჯაფარიძე ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა, რომ ფიგურულ ციგურაობაში პირველი ქართველი სპორტის ოსტატები აღეზარდა. დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ცერცვაძემაც და გაბელაიამაც შარშან საკავშირო ტურნირებში საკმაო წარმატებები მოიპოვეს, წლეულს კი სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში და მის შემდეგ გამართულ შეჯიბრებებში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს.

ჩვენთვის ცნობილი გახდა სასიამოვნო ფაქტი: საკავშირო სპორტკომიტეტის 10 მაისის ბრძანებით მ. ცერცვაძესა და ლ. გაბელაიას სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ. ამას წინათ ორივე ჩეხოსლოვაკიის დიდ საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ მიიწვიეს.

ვფიქრობთ, მწვრთნელი ი. ჯაფარიძე მიღწეულს არ დასჯერდება — კვლავაც იზრუნებს სპორტის ოსტატთა რიგების კიდევ უფრო გამრავლებისთვის.

რ. მაღრაძე.

რიაზანში ჩატარდა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი, რიგით მე-10 საკავშირო ავტოკროსი, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. სულ სტარტზე 200-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა.

საქართველოს ავტომობილისტები შეჯიბრებისთვის მოამზადა მწვრთნელმა ა. ღლონტმა. მისმა დაკომპლექტებულმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თბილისელი შოფრები ე. პოლოზენკო, ე. ხანჯიანი, თ. აზვერდოვი, ქუთაისელები შ. ახალაძე და თ. ბალანჩივაძე, ბევრი მეტოქე ჩამოიტოვა და საერთო II ადგილი დაისაკუთრა.

ყველას აჯობეს რსფსრ-ს ავტომობილისტებმა. III ადგილზეა მოსკოვის ნაკრები.



სურათზე: რბოლის ტრასაზე.

ი. დიაკონოვის ფოტო (საკდესი).

# ძველ მეგობართა შეხვედრა

ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად თბილისს ეწვივნენ ერევნელი ვეტერანი ფეხბურთელები, ისინი, ვინც ათეული წლების წინათ საფუძველს უყრიდა ახლანდელი ჩემპიონისა და თასის მფლობელის „არარატის“ წარმატებებს. სტუმართა შორის იყვნენ კარმირიანი, სემერჯიანი, ბეგლარიანი, სუპრიკიანი, ოვივიანი, აბრამიანი, კარაჯიანი და სხვანი, რომლებიც არაერთხელ გვინახავს ჩვენს სტადიონებზე თბილისის „დინამოსთან“ თუ ქუთაისის „ტორპედოსთან“ ბრძოლის დროს.

გუშინწინ სომეხ ვეტერანთა წინააღმდეგ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამოვიდა თბილისის გუნდი, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონები ს. კოტრიკაძე, ვ. რეხვიაშვილი, ბ. სიჭინავა, ს. მეტრეველი, ი. დათუნაშვილი, მ. მესხი, აგრეთვე, შ. კალოევი, ვ. ელოშვილი, ე. თორაძე, ი. სარჯველაძე, რ. ურუშაძე, დ. ხუნდაძე, ა. ხელაძე, ლ. ჟორდანია, ა. ილიადი. გუნდს მოუძღოდა ვეტერანთა ვეტერანი, უბერებელი ფეხბურთელი, 61 წლის გ. გაგუა. თბილისელთა რიგებში 5 სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო!

უამინდობის მიუხედავად, „ლოკომოტივის“ სტადიონის ტრიბუნებს მაყურებელი არ აკლდა და, უნდა ითქვას, ფეხბურთის მოყვარულებმა ნამდვილი ვაჟკაცური, მაღალოსტატური, ლამაზი თამაში იხილეს.

ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა ოვივიანმა, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და კალოევმა მესხის მიწოდებით გაქვითა გოლი, შემდეგ კი დათუნაშვილმა და იმავე კალოევმა ორჯერ აიღეს სტუმართა კარი — 3:1.

მეორე ტაიმში კალოევისა და ჟორდანიას ზუსტი დარტყმების შემდეგ თბილისელები კიდევ უფრო დაწინაურდნენ—5:1. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ერევნელებმა თავი დაეღწიათ დიდი ანგარიშით წაგებისთვის (ოვივიანი, ავეტისიანი). მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 5:3.

მატჩის მონაწილეთათვის დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. ყველაზე ხანდაზმული ვეტერანის პრიზი გადაეცა გ. გაგუას, ერევნელთაგან საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულ იქნა ს. ოვივიანი, ხოლო თბილისელთაგან — მ. მესხი.

• • •

იმავე დღეს, დღისით, სომხეთის სპორტული დელეგაცია იყო გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელისა და მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატისა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. ჟორდანიას საფლავზე და ყვავილებით შეამკო იგი.

რ. ქორიძე.

ფეხბურთი

# არბიტრები დაისაჯნენ

9 მაისს ფეხბურთის მოყვარულებმა ტელევიზიით ნახეს საკავშირო ჩემპიონატის ძალიან საინტერესო მატჩი ერევნის „არარატსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის. როცა ანგარიში იყო 2:0 დინამოელთა სასარგებლოდ, გუნდის ახალგაზრდა მოთამაშემ პავლენკომ მესამე ბურთიც გაიტანა მეტოქეთა კარში, მაგრამ კიშინიოველმა არბიტრმა ი. პონომარიოვმა თამაშგარე მდგომარეობა მიიჩნია და გოლი არ ჩათვალა.

ამ ინციდენტს მოჰყვა სპეციალისტთა გამოხმაურება პრესაში. ფეხბურთის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმმა განიხილა ი. პონომარიოვისა და დამხმარე მსაჯის ლ. ულანოვის (ბელცი) საკითხი და დაასკვნა, რომ მსაჯებმა ამ მომენტში დაუშვეს შეცდომა, რის შედეგადაც მოსკოვის „დინამოს“ არ ჩაუთვალეს კანონიერად გატანილი გოლი. კოლეგიამ ი. პონომარიოვსა და ლ. ულანოვს ჩამოართვა უმაღლესი ლიგის მატჩებში მომსახურების უფლება.

# მასპინძლობს დონის როსტოვი

დღეს დონის როსტოვში სტარტს აიღებს ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატი. ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენი ქალები და ვაჟები ოთხი დღის მანძილზე იბრძოლებენ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის. თუ წინათ ქალთა მსგავს ასპარეზობაში გამოსვლის უფლება ჰქონდათ ტანმოვარჯიშეებს 16 წლის ასაკიდან, დონის როსტოვის ფიცარნაგზე გამოცდილ ოსტატთა მხარდამხარ იბრძოლებენ 14 წლის გოგონები. ამიტომ საინტერესო იქნება ბევრ დიდ შეჯიბრებაში გამობრძმედილი სპორტსმენების ლ. ტურიშჩევას, ო. კორბუტის, ე. საადის პაექრობა სრულიად ახალგაზრდა ს. გროზდოვასთან, ლ. გორბიკთან, ლ. პრიმაკთან...

საქართველოს ღირსებას დაიცავენ რ. სიხარულიძე, ნ. დრონოვა, პ. შამუგია და ე. ჯაიანი. პირად შეჯიბრებაში გამოვა გ. ბახია.

რეგლამენტი ასეთია: 23 მაისი. სავალდებულო პროგრამა (ქალები და ვაჟები); 24. ნებისმიერი პროგრამა (ქალები); 25. ნებისმიერი პროგრამა (ვაჟები); 26. 24 საუკეთესო ტანმოვარჯიშე ქალი და 36 ვაჟი გამოვა ნებისმიერი პროგრამის ფინალში, სადაც გაირკვევა დიდი ოქროს მედლების ბედი.

# 8 ქვეყნის 13 მოჭადრაკე

არკო დი რივა, 21 მაისი. იტალიის ამ პატარა აგარაკზე მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. 4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ რიგელი ა. ანდრეიკო, მინსკელი ა. განტვარგი და ჰოლანდიელი დიდოსტატი ბერგსმა, რომელთაც 3,5-3,5 ქულა აქვთ.

I ტურში ყველაზე დაძაბული იყო განტვარგისა და ანდრეიკოს შეხვედრა. თავდაპირველად ინიციატივას განტვარგი ფლობდა, მერე კი ბრძოლის სადავეები ანდრეიკომ იგდო ხელთ. და მაინც, ხუთსაათიანი ბრძოლა 56-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

მომდევნო ტურებში საბჭოთა დიდოსტატებმა 3-3 გამარჯვება მოიპოვეს: ანდრეიკომ — ბატიალისთან (იტალია), გრეგუართან (ბელგია) და ჩუდინთან (შვეიცარია), განტვარგმა — მელინონთან (საფრანგეთი), ბატეროსთან (მონაკო) და ვერსთან (საფრანგეთი).

ჩემპიონატში 8 ქვეყნის 13 მოშაშე მონაწილეობს. ევროპის ჩემპიონი 26 მაისს გამოვლინდება.

# ორ სახეობაში

საჩხერეში დამთავრდა „კოლმეურნის“ რაიონული პირველობები მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში.

მაგიდის ჩოგბურთში საჩხერის საკონსერვო ქარხნის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს საირხის კოლმეურნეობისა და საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდებმა.

პირად პირველობაში ვაჟთა შორის საუკეთესო იყო ჯ. ბულაძე, ხოლო ქალებში—ქ. აბრამიშვილი (ორივე—საკონსერვო ქარხანა).

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში ჩიხის კოლმეურნეობის გუნდმა იყოჩაღა. II-III ადგილები გაიყვეს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და საკონსერვო ქარხნის გუნდებმა.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საჩხერე.

# შეხვედრის დღე — 24 სექტემბერი

სპორტული სამყარო უდიდესი ინტერესით ელის მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ჯორჯ ფორმენისა და ამ ტიტულის მაძიებლის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მუჰამედ ალის (ორივე — აშშ) შეხვედრას. ამ რამდენიმე დღის წინათ პროფესიული კრივის მესვეურებმა დააზუსტეს შეხვედრის თარიღი (აქამდე მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ბრძოლა დაახლოებით სექტემბრის ბოლოსთვის უნდა გამართულიყო). მატჩის დღედ არჩეულია 24 სექტემბერი.

ფორმენი და ალი ერთმანეთს ზაირის დედაქალაქ კინშასაში შეხვდებიან. ბრძოლა 15-რაუნდიანი იქნება, თუ ვადამდე არ დამთავრდა, რადგან ორივე მოკრივეს საკმაოდ ბევრი შეხვედრა ნოკაუტით აქვს მოგებული. ფორმენმა პროფესიულ რინგზე ჩატარებული 40 ბრძოლიდან ორმოცივე მოიგო და აქედან 37 (!) ვადამდე დაამთავრა. ალიმ 46 შეხვედრიდან 44 მოიგო (31 ნოკაუტით), რაც ასევე შესანიშნავი შედეგია.

ბიზნესმენები ამ ბრძოლით უდიდესი თანხის მოგებას ვარაუდობენ და ამიტომ მოკრივეებისთვის დოლარები არ დაიშურეს. მატჩის თითოეული მონაწილე მიიღებს 5 მილიონ დოლარს (ეს ყველა დროის რეკორდია სპორტის ყველა სახეობისთვის). ამას გარდა, თითოეულ მათგანს კიდევ მიეცემა 500 ათასი დოლარი წვრთნის ხარჯებისთვის.

კინშასაში 24 წლის მსოფლიო ჩემპიონი მესამედ გამოვა რინგზე თავისი ტიტულის დასაცავად. შარშან სექტემბერში იგი ტოკიოში შეხვდა პანამელ ჯო რომანს, რომლის დამარცხებასაც მხოლოდ ერთი რაუნდი მოანდომა, წლევანდელ მარტში კი ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გამართულ ბრძოლაში მეორე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო თანამემამულე კენ ნორტონი.

(საქ. ინფ.).

# აფრიკა წინააღმდეგია

სპორტული აფრიკა შეაშფოთა „ბრიტიშ ლაიონზის“ რეგბისტთა ვიზიტმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ეს ვიზიტი მოეწყო მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რეზოლუცია დაადო რასისტულ რეჟიმთან ყოველგვარი კონტაქტების გაწყვეტას, რომ ინგლისის მთავრობაც არ იყო ამ მოგზაურობის მომხრე. დასასრულ, ეს მოხდა ბრიტანეთის კუნძულებისა და აფრიკის ქვეყნების საზოგადოებრიობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ.

„ლომები“ ფარულად გავიდნენ ინგლისიდან. ვინაიდან საპროტესტო დემონსტრაციისა ეშინოდათ, ისინი არ ამხელდნენ გაფრენის დღეს და ავიარეისის ნომერს. იოჰანესბურგში მათ დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ. ამ შეხვედრაში თვით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის მინისტრებიც მონაწილეობდნენ.

ერთ-ერთმა ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ თქვა, რომ „ბრიტიშ ლაიონზის“ ტურნე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შავკანიანი სპორტსმენებისთვის სილის გაწვნას უდრისო. ეს მარტო ამ ქვეყნის სპორტსმენთა შეურაცხყოფა როდია. გასაგებია, რომ აფრიკის სახელმწიფოები „ბრიტიშ ლაიონზის“ ტურნეს პასუხად ინგლისთან სპორტულ კონტაქტებს წყვეტენ. ეს გადაწყვეტილება პირველმა გამოაცხადა კენიამ, რომელმაც გააუქმა ბრიტანეთის ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის მიწვევა. ამასთან დაკავშირებით ნაირობში გამოქვეყნებულ სპეციალურ განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ „ფეხბურთელები გაიგებენ აფრიკის ქვეყნების პოზიციას“. კენიის მაგალითს უკვე მიჰბაძეს ეთიოპიამ, ტანზანიამ, ზამბიამ, უგანდამ, მალავიმ და აფრიკის ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ.

ზოგიერთმა ეს ნაბიჯი მთელი ინგლისური სპორტის მიმართ ჩადენილ უსამართლობად მიიჩნია, რამდენადაც ტურნე ვითომ მხოლოდ რეგბისტთა კავშირმა მოაწყო. მაგრამ აფრიკის სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჟან-კლოდ განგამ წინასწარ გააფრთხილა ინგლისელები, რომ ბოიკოტი იყო მოსალოდნელი. მას იმედი ჰქონდა, რომ ინგლისის ხელისუფლება ზომებს მიიღებდა, რათა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში „ბრიტანელი ლომების“ ტურნე არ გამართულიყო.

ჯერ კიდევ „ბრიტიშ ლაიონზის“ გამგზავრებამდე ამ ვიზიტის საწინააღმდეგო კამპანიის ხელმძღვანელმა, თემთა პალატის წევრმა ლეიბორისტმა ნ. კინოკმა აღნიშნა, რომ აფრიკის ქვეყნებში ტურნე ინგლისური სპორტისთვის არასასურველ ბოიკოტს გამოიწვევდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოიკოტი ყოველგვარ აზრს დაუკარგავს ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ჩარჩოებში გამართულ შეჯიბრებებს.

ინგლისის ხელისუფალნი შეშფოთდნენ. გამოცხადდა, რომ მალე აფრიკაში გაემგზავრება ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც იბრძოლებს ბოიკოტის შეწყვეტისთვის. მაგრამ, როგორც ყველაფრიდან ჩანს, აფრიკის ქვეყნებს მხოლოდ ერთი რამ აძლევთ ხელს: რასისტებთან ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტა. ამ მოთხოვნას მხარს უჭერს მთელი პროგრესული სპორტული საზოგადოებრიობა.

ი. ხრომოვი.
(საკდესის კორ.).

**• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •**

## მწვანე მინდვრებზე

**მონტევიდეო, 22 მაისი.** ურუგვაის ნაკრებმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 3:1 (0:0) დაამარცხა ბრაზილიის „ატლეტიკო“. ორი ბურთი ურუგვაელთა თავდამსხმელმა მორენამ გაიტანა.

**ჯაკარტა, 22 მაისი.** ევროპაში მიმავალმა ავსტრალიის ნაკრებმა ინდონეზიაში შეისვენა და აქ ანგარიშით 2:1 (0:0) სძლია მასპინძელთა ეროვნულ გუნდს.

## პირველი ფინალური — 2:2

**ლონდონი, 21 მაისი.** უეფა-ს თასის გათამაშების აქ გამართულ პირველ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტოტენჰემ ჰოტსპური“ და როტერდამის „ფეიენოორდი“.

თამაშმა დიდი ინტერესი გამოიწვია. 38-ე წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს, მაგრამ შესვენებამდე 2 წუთი იყო დარჩენილი, როცა ჰოლანდიელმა ვან ჰანეგენმა საპასუხო ბურთის გატანა შეძლო.

63-ე წუთზე, ინგლისელთა ერთი შეტევის დროს, „ფეიენოორდის“ ცენტრალურმა მცველმა ვან დელმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ამ მარცხს ჰოლანდიელი ფეხბურთელების დაბნეულობა არ გამოუწვევია. პირიქით 23 წუთის შემდეგ მათ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს — 2:2.

„ფეიენოორდი“ ამ შედეგით კმაყოფილია, ვინაიდან საპასუხო მატჩი 29 მაისს მათ მინდორზე გაიმართება.

## ვინ უფრო მაღალია?
## ფანდემი... თავდაყირა





ამ სურათზე თქვენ ორ გოლიათს ხედავთ. ორივე პოლონეთის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს, მაგრამ სხვადასხვა სახეობაში. მარჯვნივ დგას ოლიმპიური ჩემპიონი ბირთვის კვრაში ვლადისლავ კომარი, მარცხნივ კი — ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, მოჭიდავე მარეკ გოლინსკი.

ვინ უფრო მაღალია, ჩემპიონი თუ პრიზიორი? კომარსაც სწორედ ეს აინტერესებს.

ე. ვარმინსკის (ვარშავა) ფოტო.

# სტუმრებმა სამივე მატჩი წააგეს

ალმა-ათა, 21 მაისი. აშშ-ს მოკრივეებმა საბჭოთა კავშირში გამართული სამივე მატჩი წააგეს. დღეს ადგილობრივი სპორტის სასახლის რინგზე ჩატარებულ შეხვედრაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:3 (შეჯიბრება რვა წონითს კატეგორიაში გაიმართა). გამარჯვებული გუნდი ძირითადად ყაზახეთის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მასპინძლებმა ყველა შეხვედრა ქულებით მოიგეს. მხოლოდ მძიმე წონის მოკრივეთა შეხვედრა იყო გამონაკლისი: ამერიკელ ე. ჩეპმენს წარბი გაუსკდა და მწვრთნელთა მითითებით რინგი ვადამდე დატოვა.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია (პირველად დასახელებული არიან საბჭოთა მოკრივეები): ვ. პლაკუშჩიმ მოუგო ა. სანდოვალს (48 კგ-მდე), სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მ. საპეევმა წააგო მ. აიარასთან (51), ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ე. დუბოვსკიმ დაამარცხა ი. ჰეიმოსილი (54), ვ. რაჩკოვმა წააგო ა. პრაიერთან (60), სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ვ. კურიშკომ მოუგო ჯ. მილზს (71), რ. სათაროვმა წააგო ვ. ჯონსონთან (75), ვ. სოკოლოვმა მოუგო რ. ფიკლინგს (81).

— მიუხედავად წაგებისა, ჩვენი ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, — უთხრა აშშ-ს ნაკრების მწვრთნელმა ბ. კალმინგზმა საკდესის კორესპონდენტს. — ჩვენი სპორტსმენები ჯერ ახალგაზრდები არიან და დიდი სატურნირო გამოცდილება არა აქვთ. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ პრაიერი და ჯონსონი, რომლებსაც არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ. საბჭოთა მოკრივეები საუცხოო სპორტსმენები არიან. ისინი ტექნიკურად და კორექტულად იბრძვიან.

• • •

დღეს გამართულ ამხანაგურ შეჯიბრებას 6 ათასი მაყურებელი დაესწრო. მატჩის საზეიმო გახსნაზე ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილმა ქალიშვილებმა ამერიკელ მოკრივეებს სუვენირები — ყაზახური ქუდები მიართვეს.

## წლეულს საუკეთესოა

**ბუქარესტი, 20 მაისი.** მოსკოვის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონმა, რუმინელმა მძლეოსანმა ვირჯინია ბონჩი-იოანმა 190 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

**სავსენი კალეიდოსკოპი**

• •



ველოსპორტში ბევრი უჩვეულო და სასაცილო შემთხვევა ხდება. სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს: ვარეზეს (იტალია) ტრეკზე გამართული შეჯიბრების დროს გფრ-ის ტანდემი (ბარტო და მიულერი) ამოყირავდა და თითქოს ასე ცდილობს გააგრძელოს ბრძოლა.

კაფ — უნიფაქსის ფოტო.

# ბრძოლა სამთო გზებზე

27• COURSE DE LA PAIX 1974

მლადა ბოლესლავი, 21 მაისი. მშვიდობის XXVII ველორბოლის ბოლოსწინა, XIII ეტაპი (ლაბის უსტი — მლადა ბოლესლავი, 138 კმ) უმეტესად მთებში გადიოდა. ეს იყო ყველაზე ძნელი ეტაპი, რომელსაც რამდენიმე საშუალედო ფინიში ჰქონდა. მხოლოდ 50-ე კილომეტრზე შეძლო 30 მრბოლელისგან შემდგარმა გუნდმა წინ გაჭრა... აქაც, ამ მეწინავე ჯგუფში, უაღრესად მწვავე ბრძოლა გაჩაღდა საშუალედო ფინიშების მოსაგებად, ვინაიდან აქ წარმატება „მთის მეფის“ წოდებისთვის ბრძოლაში იძლეოდა ქულებს. ამ დავაში ჯერჯერობით საუკეთესოა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ნ. გორელოვი — 40 ქულა. II ადგილზეა პოლონელი ს. შოზდა — 38.

... სულ 168 კილომეტრი დარჩათ გასავლელი მშვიდობის ველორბოლის მონაწილეებს. 22 მაისს ისინი ამ მანძილსაც გალევენ და პრაღაში ექნებათ ბოლო ფინიში.

XIII ეტაპის ფინიშზე მწვავე ბრძოლა გაიმართა. სტადიონზე ერთდროულად შეიჭრა მრბოლელთა დიდი ჯგუფი და ზედ ფინიშის წინ მხოლოდ მძლავრმა ბიძგმა მოუტანა წარმატება ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელს ა. ბარტონიჩეკს — 3:21.18. ველორბოლის ლიდერი შოზდა მას ნახევარი ბორბლით ჩამორჩა. ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა მ. შიფნერმა (გდრ). საბჭოთა მრბოლელთაგან ამჯერად საუკეთესო იყო ვ. ლიხაჩოვი, რომელმაც V ადგილი დაიკავა (3:21.48).

ბოლო ეტაპის წინ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ პოლონელები ორმაგ წარმატებას იზეიმებენ: პირად ჩათვლაში შოზდა (38:15.07) 2 წუთითა და 9 წამით უსწრებს II ადგილზე მყოფ გორელოვს (ეს დიდი სხვაობაა!), ხოლო გუნდურ ჩათვლაში ამ ქვეყნის ნაკრები (115:01.56) თითქმის 3 წუთით სჯობს II ადგილზე მყოფ სსრ კავშირის ნაკრებს. ასე რომ, შოზდასა და პოლონეთის ეროვნულ გუნდს მშვიდობის XXVII ველორბოლაში გამარჯვების ძალიან დიდი შანსი აქვთ. ეს არცაა საკვირველი: პოლონელები ტრადიციულად კარგად გამოდიან მშვიდობის ველორბოლებში — მათი ველოსიპედისტები ექვსჯერ იყვნენ პირველნი გუნდურ ჩათვლაში, ხოლო ოთხჯერ — პირად შეჯიბრებაში.

ბოლო ეტაპის წინ პირად ჩათვლაში III ადგილზეა მ. გრაზდირა (ჩეხოსლოვაკია) — 38:18.40. ქართველი ა. პიკუში მეექვსეა (38:23.51), კუიბიშეველი ა. ჩუხოვი — მეცხრე (38:26.35).

გუნდურ ჩათვლაში III ადგილზეა გდრ-ის ნაკრები — 115:06.10. საბჭოთა გუნდის დროა 115:04.52.

მესამე ეტაპზე ბრძოლაში 89 ველოსიპედისტი ჩაება, მაშინ, როცა ვარშავაში 106 მრბოლელმა აიღო სტარტი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14 უე 10631